საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 101
21/08/2019

101-06-4-201908211258

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების - დავით დარჩიას, გოჩა კილაძის და ტარიელ არაშიძის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივითვი თმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები - დავით დარჩია, გოჩა კილაძე და ტარიელ არაშიძე მივლინებულ იქნან ლიეტუვაში, ქალაქ როკიშკიშში, როკიშკიშის მუნიციპალიტეტის მერის მიწვევით 2019 წლის 21-22 სექტემბერს გასამართ ქალაქის 520 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, 2019 წლის 20 სექტემბრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით.
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების წინსწრებით ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო